

პალატალიზაციისა და აფრიკატიზაციის პროცესები აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში

ელვირა ასლანოვი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტი

ელ-ფოსტა: elvira.aslanovi010@hum.tsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-2754-8386>

აბსტრაქტი. სტატია ეძღვნება აფრიკატიზაციისა და პალატალიზაციის პროცესების ანალიზს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში. კვლევის მიზანია აღნიშნული ფონეტიკურ-ფონოლოგიური მოვლენების სტრუქტურული და არტიკულაციური თავისებურებების დადგენა და მათი ფუნქციური დიფერენცირება. ტრადიციულად რიგი ბგერათიანაცვლებები ($d \rightarrow \text{ჩ}$, $k \rightarrow \text{ჩ}$, $\text{ჟ} \rightarrow \text{ჟ}$) განიხილება აფრიკატიზაციის ფარგლებში, თუმცა ემპირიული მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა მსგავსი ტრანსფორმაცია ერთსა და იმავე მექანიზმს არ ეფუძნება.

კვლევა ეფუძნება დიალექტურ მასალას და ხორციელდება არტიკულაციური ფონეტიკისა და შედარებით-დიალექტოლოგიური მეთოდის გამოყენებით. დადგენილია, რომ $k \rightarrow \text{ჩ}$ და $\text{ჟ} \rightarrow \text{ჩ}$ წარმოადგენს აფრიკატიზაციის შემთხვევებს, რადგან ტრანსფორმაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ პალატალური ხმოვნის მეზობლობაზე და იწვევს რთული, სპირანტული კომპონენტის მექანე თანხმობის წარმოქმნას.

მეორე მხრივ, $d \rightarrow \text{ჩ}$, $\text{ჟ} \rightarrow \text{ჟ}$, $k \rightarrow \text{ჟ}$ და $g \rightarrow \text{ჟ}$ პროცესები განისაზღვრება როგორც პალატალიზაციის შედეგი, ვინაიდან ისინი ვითარდება პოზიციური ბგერათშერთვისა და არტიკულაციური ასიმილაციის საფუძველზე. შესაბამისად, ნაშრომში შემოთავაზებულია აფრიკატიზაციისა და პალატალიზაციის ტერმინოლოგიური და სისტემური გამიჯვნა.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს ყაზახური დიალექტის დამოუკიდებელ ფონეტიკურ თავისებურებებს და მის მნიშვნელობას თურქოლოგიური კვლევებისთვის.

საკვანძო სიტყვები: აფრიკატიზაცია; პალატალიზაცია; პოზიციური ასიმილაცია; აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი; აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფი.

შესავალი. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტი ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან მასში ფიქსირდება ისეთი ბგერათიანაცვლებები, რომლებიც როგორც სტრუქტურულად, ისე ფუნქციურად განსხვავდება სალიტერატურო ნორმისაგან. აღნიშნულ პროცესებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია აფრიკატიზაცია და პალატალიზაცია, რომელთა ურთიერთმიმართება და დიფერენციაცია დღემდე ერთმნიშვნელოვნად არ არის გამიჯნული.

ტრადიციულად რიგი ბგერათიანაცვლებები (მაგ., $d \rightarrow \text{ჩ}$, $k \rightarrow \text{ჩ}$, $\text{ჟ} \rightarrow \text{ჟ}$) ერთიანდება აფრიკატიზაციის ფარგლებში, თუმცა ემპირიული მასალის დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა მსგავსი ტრანსფორმაცია ერთსა და იმავე ფონეტიკურ მექანიზმს არ ეფუძნება. ამდენად, ჩნდება საჭიროება განისაზღვროს: არის თუ არა მოცემული ცვლილებები აფრიკატიზაციის შედეგი, თუ ისინი წარმოადგენენ პალატალიზაციის მრავალსაფეხურიან პროცესს, რომელიც ბგერათშერთვისა და არტიკულაციური ასიმილაციის შედეგად ვითარდება.

წინამდებარე სტატიის მიზანია აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში წარმოდგენილი აღნიშნული პროცესების სტრუქტურული ბუნების დადგენა, მათი არტიკულაციური საფუძვლის განსაზღვრა და ფუნქციური განსხვავებების გამოკვეთა.

კვლევის მეთოდები. კვლევა ეფუძნება ემპირიულ დიალექტურ მასალას, რომელიც გაანალიზებულია არტიკულაციური ფონეტიკის პრინციპების საფუძველზე. გამოყენებულია შედარებით-დიალექტოლოგიური მეთოდი, რაც გულისხმობს ყაზახური დიალექტის მონაცემთა შედარებას როგორც სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენასთან, ისე სხვა თურქული ენებისა და დიალექტების მასალასთან.

ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბგერათა პოზიციურ გარემოს, არტიკულაციის ზონას, ხმოვნებთან მეზობლობის ფაქტორსა და ბგერათშერთვის შედეგებს. თითოეული ტრანსფორმაცია შეფასდა როგორც სტრუქტურულ, ისე ფუნქციურ ქრილში, რაც შესაძლებელს ხდის აფრიკატიზაციისა და პალატალიზაციის მკაფიო დიფერენცირებას.

მსჯელობა. აფრიკატიზაცია არის ბგერათშერწყმის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც მდგომარეობს მარტივი ხშულის შეცვლაში რთულ ხშულად. აფრიკატიზაციაში იგულისხმება მარტივი ხშულის რთულად ქცევის პროცესი, რის შედეგადაც გვაქვს აფრიკატი (ახვლედიანი, 1938:128). აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში აფრიკატებს ვიღებთ შემდეგი თანხმოვნების ტრანსფორმაციის დროს, მაგ.,

$d \rightarrow \check{c}$	$\check{c} \rightarrow c$
$k \rightarrow \check{c}$	$c \rightarrow \check{c}$
$\check{s} \rightarrow \check{c}$	$\check{z} \rightarrow \check{c}$
$\check{\text{z}} \rightarrow \check{z}$	$\check{z} \rightarrow z$

შემოაღნიშნული პროცესებიდან, ჩემი აზრით, აფრიკატიზაციის შედეგად გვაქვს მხოლოდ $k \rightarrow \check{c}$, $\check{s} \rightarrow \check{c}$, ხოლო $d \rightarrow \check{c}$, $\check{\text{z}} \rightarrow \check{z}$ მივაკუთნებ პალატალიზაციის პროცესს, $\check{c} \rightarrow c$ და $\check{z} \rightarrow z$ - გასისინების პროცესს, $c \rightarrow \check{c}$, $\check{z} \rightarrow \check{c}$ - გამიშინების პროცესს.

ვეთანხმებით გ. ახვლედიანის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „აფრიკატიზაციას გენეზისური კავშირი აქვს, როგორც ჩანს, პალატალიზაციასთან: როგორც იქ ეცვლება დამმართვა პალატალიზებულ თანხმოვანს, ისე აქ ამა თუ იმ ხშულის დამმართვის პროცესში ჰომორგანული სპირანტული ხასიათის გარდამავალი ბგერა“ (ახვლედიანი, 1949:128). როგორც პალატალიზაციისას ბგერა იცვლის არტიკულაციის ზონას და პალატალურ ელემენტს იძენს, ანალოგიურად, აფრიკატიზაციის პროცესში ზოგიერთი ხშულმსკდომი თანხმოვანი ბგერის ტრანსფორმაციისას წარმოიქმნება მისთანავე ორგანული სპირანტული შრე, რაც საბოლოოდ იძლევა აფრიკატულ ბგერას. შედეგად, აფრიკატული თანხმოვანი გაერთიანებულად მოიცავს ხშულისა და სპირანტის კომპონენტებს. „ყოველი აფრიკატის შემადგენელია ხშული პლუს სპირანტი, ე. ი. აფრიკატს ხშული დაწყება აქვს და სპირანტული დაბოლოება. ამიტომ აფრიკატს ფრანგულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ნახევრად ხშულს უწოდებენ“ (ქლენტი, 1956:146).

როგორც უკვე ცნობილია, სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენას ორი აფრიკატი მოეპოვება: $\check{c}$ და $\check{z}$, მაგრამ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის ზოგ თქმაში გვხვდება ოთხი აფრიკატი: $\check{z}$, $\check{c}$, z , c . „საერთოდ მიღებულია, რომ, მაგ., რუს. აფრიკატები ц და ч მიღებულია тс -სა და тч -ს შერწყმით (ბგერათმონაცვლეობა როგორიცაა მხედველობაში არ გვაქვს)“ (ახვლედიანი, 1938:130). „ამ აფრიკატთა შემადგენელ კომპონენტებად იგულისხმება მარტივი თანხმოვნები: $d=\text{დზ}$, $c=\text{თს}$, $\check{f}=\text{ტს}$, $\check{x}=\text{დჟ}$, $\check{h}=\text{თძ}$, $\check{\text{q}}=\text{ტძ}$. ყოველი აფრიკატი ჩვეულებრივი მარტივი თანხმოვნისაგან განსხვავდება თავისი რთული არტიკულაციური მოძრაობებით“ (ქლენტი, 1956:145). ამის მიხედვით აზერბაიჯანული აფრიკატების შედგენილობას (შერწყმის თვალსაზრისით) ჩვეულებრივ ასე წარმოვადგენთ:

$\check{z} = dj$	$z = tz$
------------------	----------

č = tš

c = ts

ემპირიული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში აფრიკატიზაციის პროცესი - **k → č** ფართოდ არის გავრცელებული. განვიხილოთ ეს პროცესი:

➤ **k → č: k** - შუაენისმიერი ხშული ყრუ თანხმოვანია. იგი იხმარება როგორც წინა- და შუა რიგის (i, ü, ö, e, ä), ასევე უკანარიგის ხმოვნებთანაც (a, o, u). მაგრამ აღამუსა ახუნდოვის აზრით, „ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის ისტორიულ ძეგლებში არ გვხვდება“ და k-ს č-ში გადასვლა დაკავშირებულია მომდევნო ხმოვნის ზეგავლენასთან (k თანხმოვნის წარმოთქმა იწვევს წინ და ემსგავსება č-ს). ვფიქრობ, ეს მოსაზრება მისაღები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, k რომ იხმარებოდა, როგორც č მხოლოდ პალატალურ ხმოვნებთან მეზობლობაში, მაგრამ ეს პროცესი გვხვდება არა მხოლოდ პალატალური (რბილი) ხმოვნების ხმარების დროს, არამედ არაპალატალურ ანუ მაგარ ხმოვნებთანაც. ზუსტად ამიტომ ვფიქრობ, რომ k-ს č-ში გადასვლის პროცესი აფრიკატიზაციის პროცესს უნდა მიეკუთვნოს, ვინაიდან č თავს იჩენს, როგორც უკვე ითქვა, არა მხოლოდ პალატალურ, ასევე უკანარიგის ხმოვნებთანაც.

k → č პროცესი წინა- და შუაენისმიერ ხმოვნებთან ანლაუტსა და ინლაუტში (i, ü, ö, e, ä), მაგ.:

keçi → čeci - თხა

küçä → čüčä - ქუჩა

käläm → čäläm - კომბოსტო

kiftä → čiftä – გუფთა

häkim → häčim - ექიმი

könüllü → čönüllü - ნებაყოფლობით

ikižä → ičizä - ორიდა

k → č უკანაენისმიერ ხმოვნებთან (o და a გარდა ə, u ხმოვნისა), მაგ.:

kayəz → čayəz - ქაღალდი

kar → čar - ყრუ

kol → čol - ბუჩქი

kom → čom - შეკვრა

მ. შირალიევის აზრით, ეს პროცესები თურქულ ენებში იშვიათი მოვლენაა (Şirəliyev, 2008:82).

k → č და **č → ž** პროცესები ასევე ვრცლად არის გავრცელებული ანატოლიის, ტრაპიზონისა და ერზურუმის დიალექტებში; მაგ., četirdi (მდრ. getirdi „მოიტანა“), žetdi (gitdi „წავიდა“), čöpek (köpek „ძაღლი“), čim (kim „ვინ“), čiši (kiši „კაცი“) (Caferoğlu, 1944:183-195).

➤ **ž → č** პროცესი იშვიათი პროცესია, გვხვდება სულ ორ სიტყვაში, მაგ.:

garanguš → garanguč - მერცხალი

šüjüd → čüt// šüjüt - კამა (დენდრ.).

პალატალიზაცია ანუ დარბილება, არის ბგერათმეურთეობა, რომელშიც ადგილი აქვს წინაენის შუანაწილის არტიკულაციას მაგარი სასის მიმართ. ეს არტიკულაცია შეიძლება გამოიხატოს, როგორც სასასთან შეხებაში, ისე მასთან მიახლოებაში (ახვლედიანი, 1949: 125). პალატალიზაცია არის ბგერათა ასიმილაციის ერთ-ერთი ტიპი, რომლის დროსაც ხმოვნის დარბილება ხდება მახლობლად მდგომი რბილი თანხმოვნის, და, პირიქით, თანხმოვანი განიცდის პალატალიზაციას პალატალური ხმოვნის გავლენით. პალატალიზაცია აზერბაიჯანულ ენაში გვხვდება როგორც ხმოვნებში, ასევე თანხმოვნებში. პალატალიზაციის პროცესი ხმოვნებში განხილული გვაქვს ხმოვნების ჩანაცვლებაში. განვიხილოთ თანხმოვნების პალატალიზაცია.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში შეგვიძლია გამოვყოთ პალატალიზაციის შემდეგი პროცესები:

d → t → č

k → j

q → ž

ანუ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში პალატალიზაციის პროცესს განიცდის თანხმოვნები, რომლებიც ისედაც პალატალურია: d (→t), k, q. აღნიშნული თანხმოვნები პალატალურ ხმოვნებთან მეზობლობაში (წინმდგომი თუ მომდევნო) კიდევ უფრო განიცდიან დარბილების პროცესს. პალატალური ანუ რბილი ეწოდება ისეთ ხმოვნებს, რომლებიც პალატალიზაციას განაპირობებენ. აზერბაიჯანულ ენაში ასეთებია, წინა- და შუაენისმიერი ხმოვნები. „აკუსტიკურად რბილ და დარბილებულ ბგერებს ახასიათებს მაღალი სატემბრო ტონები“ (ახვლედიანი, 1949: 126).

ყველა ეს პროცესი სათითაოდ განვიხილოთ.

➤ **d (→ t) → č**: მ. შირალიევის მიხედვით, „d → č პროცესი ფიქსირდება მხოლოდ აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში და რამდენიმე სიტყვაში დახურული ხმოვნების წინ“ (Şirəliyev, 2008: 78). d-ს č-ში გადასვლა თანამედროვე აზერბაიჯანული ენის არც ერთ დიალექტში არ გვხვდება, გარდა აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტისა (Axundov, 2007: 194). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს პროცესი აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი პროცესია.

d (→ t) → č ბგერათიანაცვლება გვხვდება სიტყვის დასაწყისში - პირველ მარცვალში, როდესაც დახურული, წინაენისმიერი პალატალური ხმოვანი (i და ü), რომელთა შემმართვის მომენტი მდგომარეობს წინაენის აწევაში მაგარი სასისკენ, დგას d-სა და č თანხმოვნებს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანამ d გადავა č-ში, მანამდე ის გადის რამდენიმე საფეხურს: თავიდან - დაყრუების პროცესს, d → t, შემდგომ პალატალიზაციის პროცესს ანუ **t → č**:

d (→ t) + პალატალური ხმოვანი + č = č

როგოც ვხედავთ, t-ს პალატალიზაციას იწვევს მომდევნო i ან ü, რომელთა შემმართვის მომენტი მდგომარეობს წინაენის აწევაში მაგარი სასისკენ; ამავ დროს ხდება ამ ხმოვანთა წინ მდგომი დაყრუებული თანხმოვნის დამმართვაც, რომელიც ცვლის მეზობელი ბგერის ძირითად ხასიათს, გადადის პირდაპირ მომდევნო რბილი ხმოვნის არტიკულაციაზე.

აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ბგერათმერთვა - di, dü და d+არაპალატალური დახურული ხმოვანი (მაგ., du, də...), გვაძლევს ორ სხვადასხვა სურათს, სადაც ორი სხვადასხვა d გვაქვს, ამიტომ აქ ბგერათმერწყმაა, რის შედეგადაც გვაქვს პალატალიზაციის პროცესი, მაგ.:

düşmək → tüşmäq → čüşmäq – (და düşmək ფუძისაგან ნაწარმოები ყველა ზმნური ფორმა) – ვარდნა

diş → tiş → čiş – კბილი

dişi → tişi → čiši – ძუ

düşman → tüşman → čüşman – მტერი

dişlämä → tişlämä → čişdämä – კბენა

düşpärä → tüşpärä → čüşpärä – დუშფარა

düşkün → tüşkün → čüşkün – სულმხდილი

düşük → tüşük → čüşük – ჩამოშვებული

dişläk → tişdäq → čişdäq – ნაკბერი

düşünsän → tüşünsän → čüşünsän – იფიქრე!

d → č პროცესი სხვა თურქულ ენებში იშვიათი პროცესია. თანამედროვე თურქული ენებიდან ეს პროცესი დღემდე შენარჩუნებულია უიღურულ ენაში (Şirəliyev, 2008: 83). საინტერესო აღმოჩენა იყო ის, რომ ეს პროცესი თავს იჩენს იმავე მაგალითებში, რომლებიც ზემოთ გვქონდა მოყვანილი, მაგ.,

diš → čiš (მდრ. აზერბ. diš → tiš → čiš); diši → čisi (მდრ. აზერბ. diši → tiši → čiši); düšmək – čüşmək (მდრ. აზერბ. düšmək → tüšmə → čüşmə) (Русско-уйгурский словарь, 1956: 411, 807, 1138).

„მაგრამ ესაა მხოლოდ ბგერათმეერთების ის სახე, რომელსაც ჩვენ ბგერათმერთვას ვეძახით“, რადგანაც აზერბაიჯანულ ენაში „ახალი ბგერა, ფონემა არ წარმოქმნილა“ (Şirəliyev, 2008: 83). ანუ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანულისათვის ეს ბგერათმერთვაა.

➤ **k→j**: ეს პროცესი ასევე დამახასიათებელია აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისათვის. ეს პროცესი გვხვდება ინლაუტსა და მორფემების გასაყარზე. პალატალიზაციის ეს პროცესი პოზიციურია.

ინლაუტში, მაგ.: säksän → säjsän – ოთხმოცი

säksänmək → säjsänmə – შეკროთმა

äskik → äjsi – დანაკლისი

tikmək → dijmə – აშენება.

k-ფუძიანი სიტყვისა და ხმოვნით დაწყებულ სუფიქსის დართვისას k ხვდება ინტერვოკალურ პოზიციებში და გადადის j-ში, k → j, Vk +V > VjV, მაგ.:

čöräk → čörä – პური მდრ.

čöräk+i → čöräji – პური (ბრალდ. ბრ.) და čöräk+dä → čörädä – პურში (ადგ. ბრ.)

üräk → ürä – გული მდრ.

üräk+i → üräji – გული (ბრალდ. ბრ.) და üräk+dä → ürädä – გულზე (ადგ. ბრ.).

➤ **Ბ → j**: არ არის ფართოდ გავრცელებული პროცესი და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში, სადაც მეზობლად არის პალატალური ხმოვანი. აქაც d → č პროცესის მსგავსად პალატალიზაციას ვლევულობით ბგერათმერთვის შედეგად, მაგ.:

kölä → köljöj – ჩრდილი

sürün → sürjün – გადასახლება

jadiar → jadjar – სახსოვარი

Niar → Nijar – ნიგარი

äär → äjār – თუ

➤ **Ბ → ž**: Ბ თანხმოვანი k-სგან თითქმის არ განსხვავდება. განსხვავებას ქმნის ის, რომ Ბ-ს წარმოთქმისას სასუნთქი მილი დაჭიმულ მდგომარეობაშია და იგი მჟღერია. ნ. გაჯიევას აზრით, პალატალურია და წინაენისმიერ ხმოვნებთან Ბ რბილდება და გადადის ž-ში. ამასობაში ž → ž, ვინაიდან ž ასრულებს Ბ ფუნქციას (Гаджиева, 1978: 50), მაგრამ არ ფიქსირდება ყველა თქმაში.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში Ბ → ž პალატალიზაციის პროცესი დამოკიდებულია ბგერათმერთვაზე (Ბ+პალატალური ხმოვანი და Ბ+არაპალატალური ხმოვანი), გვაძლევს ორ სხვადასხვა სურათს, სადაც ორი სხვადასხვა Ბ გვაქვს, ამიტომ აქ საქმე გვაქვს ბგერათმერთყმასთან ანუ პალატალიზაციასთან, მაგ.:

Ბežä → žežä – ღამე

Ბül → žül – ყვავილი

G~ünel → žünel – გუნელი

Ბün → žün – მზე, დღე

Ბördüm → žördüm – დავინახე

➤ **g → j**: ბოლო პერიოდში შესამჩნევი გახდა g-ს j-ში გადასვლის პროცესი. ეს პროცესი შეგვხვდა მასდარის, ასევე ბრუნვიან ფორმებში. ეს პროცესი გვხვდება აუსლაუტსა და მორფემების გასაყარზე

• აუსლაუტში, მაგ.:

oxumag → oxumaj – კითხვა

jatmag → jatmaj - ძილი

ojnamag → ojnamaj – თამაში

• მორფემების გასაყარზე, მაგ.:

oxumag+ən+ → oxumajən - კითხვის

jatmag+ən → jatmajən - ძილის

ojnamag+a → ojnamaja – თამაშს

აზერბაიჯანული ენის სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ამ მაგალითებში სიტყვის ბოლოს მჟღერი *g* ყრუვდება და გადადის *x*, ხოლო მორფემების გასაყარზე *g* ინტერვოკალურ პოზიციაში გადადის *γ*-ში. ამასთან დაკავშირებით, მაქვს შემდეგი მოსაზრება: მასდარში პალატალურ ხმოვნებთან გვაქვს -mäk დაბოლოება, რომელიც სიტყვის ბოლოში, ინტერვოკალურ პოზიციაში პალატალიზდება და გადადის *j*-ში; ხოლო -mag დაბოლოების დროს უნდა გადავიდეს *x*-ში, მაგრამ გადადის *j*-ში. უკანა რიგის ხმოვნებთან ეს პროცესი არის დაუშვებელი, აქ სინჰარმონიზმის კანონი ხმოვნებსა და თანხმოვნების შორის ირღვევა.

რაც შეეხება *k* ბგერას, ვინაიდან ის *č*-ში გადადის არა მხოლოდ პალატალურ ხმოვნებთან, არამედ დანარჩენ უკანა რიგის ხმოვნებთანაც, შესაბამისად, პროცესი *k* → *č* აფრიკატიზაციის პროცესს მივაკუთვნე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ პალატალიზაცია ხდება მხოლოდ ბგერათა უშუალო მეზობლობის გამო, ასე ვთქვათ, არტიკულაციურად, ფიზიოლოგიური თავსებადობის გამო.

დასკვნა. კვლევამ აჩვენა, რომ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში აფრიკატიზაცია და პალატალიზაცია ფორმალურად მსგავსი, მაგრამ მექანიზმით განსხვავებული პროცესებია.

აფრიკატიზაციად უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევები, როდესაც ხშული თანხმოვნის ტრანსფორმაციის შედეგად წარმოიქმნება სპირანტული კომპონენტის მქონე რთული თანხმოვანი და პროცესი არ არის დამოკიდებული მხოლოდ პალატალური ხმოვნის მეზობლობაზე (*k* → *č*, *š* → *č*).

პალატალიზაცია კი წარმოადგენს არტიკულაციურად მოტივირებულ, პოზიციურ ბგერათმერთვისას, რომელიც ვითარდება უშუალო მეზობლობის საფუძველზე (*d* → *t* → *č*; *ʒ* → *č*; *k* → *j*; *g* → *j*).

დადგენილია, რომ *d* → *č* და *ʒ* → *č* დამოუკიდებელ აფრიკატიზაციას არ წარმოადგენს; ისინი პალატალიზაციის შედეგია. შესაბამისად, აუცილებელია ტერმინოლოგიური გამიჯვნა, რათა ერთმანეთში არ აირიოს აფრიკატიზაცია და პოზიციური ასიმილაციური პროცესები.

გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტი ინარჩუნებს ისეთ ფონეტიკურ თავისებურებებს, რომლებიც სხვა თანამედროვე თურქულ ენებში იშვიათია ან მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული დიალექტის დამოუკიდებელ სისტემურ ღირებულებას და მის მნიშვნელობას თურქოლოგიური კვლევებისთვის.

ამრიგად, კვლევა აჩვენებს, რომ აფრიკატიზაცია და პალატალიზაცია ყაზახურ დიალექტში ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული მექანიზმების მქონე პროცესებია, რომელთა მკაფიო დიფერენცირება აუცილებელია როგორც თეორიული ფონეტიკის, ისე თურქული ენების დიალექტოლოგიისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, გ. (1949). *ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები*. თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქლენტი, ს. (1956). *ქართული ენის ფონეტიკა*. თბილისი: სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Şirəliyev, M. (2008). *Azərbaycan dialektologiyasının əsasları*. Bakı: Şərq-Qərb.

Axundov, Ağ. (2007). *Azərbaycan ədəbi dilinin tarixi*. Bakı: Şərq-Qərb.

Гаджиева Н. З. (1978). Тюркоязычные ареалы Кавказа. Москва: Наука.

Caferoğlu, A. (1944). *Sivas ve Tokat illeri ağızlarından toplamalar*. İstanbul: İstanbul Üniversitesi Yayınları.

Русско-уйгурский словарь. (1956). Москва